გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 184

2024 წლის 22 ნოემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტში 2025 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით, გორის მუნიციპალიტეტში იგეგმება ინფრასტრუქტურული პროექტები.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობების და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გორის მუნიციპალიტეტში 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტები თანდართული დანართი N1 (1 ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს.ჯორბენაძის ქ. #30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

საპროექტო წინადადება

N	საპროექტო წინადადების დასახელება	შენიშვნა
1	2	3
1	სოფელ შინდისის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები	
2	სოფელ ტყვიავში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	
3	სოფელ ტინისხიდში შიდა გზის რეაბილიტაცია	
4	სოფელ ხელთუბანში შიდა გზის რეაბილიტაცია	
5	სოფელ ვარიანში შიდა გზის რეაბილიტაცია	
6	სოფელ ხურვალეთში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	
7	ცხინვალის გზატკეცილიდან ტიუმენის ბინებამდე არსებული გზის რეაბილიტაცია	
8	ქ. გორში, მგალობლიშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები	
9	სოფელ მარანაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	
10	სოფელ ფლავისმანში შიდა საუბნო გზის მოწყობა	
11	სოფელ ფლავში შიდა საუბნო გზის მოწყობა	
12	სოფელ ზერტის მისასვლელი გზის და შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	
13	ქ. გორში, ოთარ ჩხეიძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები	
14	ქ. გორში დანიელ ჭონქაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები	
15	სოფელ ხიდისთავში ბეტონის გზის მოწყობა	

გორის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი

სიმონ გულედანი